STUDY & BE SUCCESSFUL

ფასდაკლებები

პოლონეთში 26 წლამდე სტუდენტებს ეკუთვნით ფასდაკლებები საზოგადოებრივი ტრანსპორტის უმეტეს ნაწილში. (მცირე განსხვავებებით ფასდაკლების ოდენობასა და ფასდაკლების გამოყენების პირობებში):

▶ ეროვნული რკინიგზა - (PKP) - 51 % ფასდაკლება მეორე კლასის ბილეთებზე ყველა სახის მატარებელზე გარდა ევრო სითისა. საჭირო საბუთი: პოლონეთის უმაღლესი სასწავლებლის მიერ გაცემული მოქმედი სტუდენტური ბარათი.

▶ მუნიციპალური ტრანსპორტი - როგორც წესი ითვალიწინებს 50% ფასდაკლებას. საჭირო საბუთი: მოქმედი პოლონური სტუდენტური ბარათი (ზოგჯერ საერთაშორისო სტუდენტური ბარათი - ISIC).

საცხოვრებელი

სტუდენტებს შეუძლიათ იცხოვრონ საერთო საცხოვრებელში ან იქირავონ ოთახი. საერთო საცხოვრებლები როგორც წესი უფრო იაფია, მაგრამ ოთახის ან საწოლის მისაღებად წინასწარ დაგჭირდებათ განაცხადის გაკეთება. დაიმახსოვრეთ, რომ შესაძლოა სტანდარტები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან.

სამსახური

ევროპის კავშირისა და ევროპული ეკონომიკური ზონის სტუდენტებს შეუძლიათ პოლონეთში მუშაობა, ხოლო სტუდენტებმა, რომლებიც არ წარმოადგენენ ევროპის კავშირსა და ევროპულ ეკონომიკურ ზონას, უნდა მოიპოვონ მუშაობის უფლება, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიცემა, თუკი პოზიციის დაკავება არ შეუძლია ევროპის კავშირის მოქალაქეს.

სამედიცინო მომსახურება

პოლონეთში უფასო სამედიცინო მომსახურების მისაღებად ევროპის კავშირისა და ევროპული ეკონომიკური ზონის სტუდენტები უნდა ფლობდნენ ჯანმრთლობის დაზღვევის ევროპულ ბარათს (EKUZ), რომლის მიღებაც მათ თავიანთ სამშობლოში შეუძლიათ. ევროპის კავშირისა და ევროპული ეკონომიკური ზონის არამოქალაქე სტუდენტებმა უნდა შეიძინონ ჯანმრთელობის დაზღვევის კერძო პოლისი. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: www.nfz.gov.pl

პოლონეთის რესპუბლიკის მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების სამინისტრო - www.nauka.gov.pl
განათლების სისტემის განვითარების ფონდი (FRSE) - www.frse.org.pl
პოლონეთის აკადემიური სკოლების რექტორთა კონფერენცია (KRASP) - www.krasp.org.pl

STUDY & DISCOVER POLAND

Why Poland?

- ▶ პოლონეთი ევროპის კავშირის სიდიდით მეექვსე ქვეყანაა და მეცხრე ადგილზე დგას ეკონომიკის სიდიდით
- ▶ ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ეკონომიკის მქონე ქვეყანა ევროპის კავშირში
- ▶ ევროპის კავშირის წევრი 2004 წლიდან
- ▶ პოლონეთის მოსახელობა 38 მილიონზე მეტს შეადგენს
- ▶ 2007 წლიდან პოლონეთი წარმოადგენს შენგენის ზონის წევრს
- ▶ პოლონეთის აკადემიური დაწესებულებები მსოფლიოს აღიარებული საგანმანათლებლო ცენტრების რიგშია
- ▶ 450-ზე მეტი საგანმანათლებლო დაწესებულება (მათგან 315 ფლობს ერასმუსის უნივერსიტეტის ქარტიას)
- ▶ სასწავლო პროგრამების დიდი არჩევანი ინგლისურ ენაზე
- ▶ პოლონეთი ითვლის 1,7 მილიონამდე სტუდენტს

www.go-poland.pl

READY, STUDY GO! POLAND

COME TO POLAND DISCOVER EUROPE

EUROPEAN Higher Education Area

Ministry of Science and Higher Education
Republic of Poland

frse
Foundation for the Development of the Education System

www.go-poland.pl

READY, STUDY GO! POLAND

მცირე გზამკვლევი საერთაშორისო სტუდენტებისათვის პოლონეთში

უმაღლესი განათლება პოლონეთში

პოლონეთი იყო იმ 29 ქვეყანას შორის, რომელთაც 1999 წელს ხელი მოაწერეს ბოლონიის დეკლარაციას. მას შემდეგ განხორციელდა არაერთი სამართლებრივი ცვლილება, რათა პოლონეთის უმაღლესი განათლების სისტემა მორგებულიყო ბოლონიის პროცესის სამოქმედო ხაზს. «ბოლონიის ინსტრუმენტები», როგორებიცაა სწავლების ორდონიანი სისტემა, კრედიტების გადატანისა და დაგროვების ევროპული სისტემა (კგეს) და დიპლომის დანამატი ახლა უკვე სამართლებრივად სავალდებულოა პოლონეთის უმაღლესი განათლების ყველა დაწესებულებისათვის. ამჟამად პოლონეთი მუშაობს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს სრულ განხორციელებაზე. პოლონეთში სტუდენტებს შეუძლიათ ისწავლონ როგორც უნივერსიტეტის ტიპის დაწესებულებებში, ასევე არასაუნივერსიტეტო ტიპის უმაღლესი დაწესებულების სკოლებში (რომელთაც არ შეუძლიათ დოქტორის ხარისხის მინიჭება). ორივე მათგანი სთავაზობს მსურველებს პროგრამებს სხვადასხვა აკადემიურ დისციპლინებში.

სასწავლო პროგრამები

პოლონეთის არაერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება გთავაზობთ კურსებს უცხო ენაზე, უმეტესად ინგლისურად. ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომი პროგრამების სიის სანახავად ეწვიეთ: www.go-poland.pl • www.krasp.org.pl.

პოლონეთში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები გთავაზობენ შემდეგ საგანმანათლებლო შესაძლებლობებს:

- პირველი ციკლის სწავლება (3–დან 4 წლამდე) გვანიჭებს ლიცენზიატის პროფესიულ წოდებას (ბაკალავრიატის ტიპის), გრძელდება 3 - 4 წელიწადს ან inżynier – ის პროფესიულ წოდებას (სიტყვასიტყვით ინჟინერი, ბაკალავრის ტიპის), გრძელდება 3,5 - 4 წელი.
- მეორე ციკლის სწავლება. გრძელდება 1.5 - 2 წელიწადს, გვანიჭებს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებულ პროფესიულ წოდებას, ხელმისაწვდომია პირველი ციკლის სწავლების კურსდამთავრებულთათვის.
- გრძელვადიანი ციკლის სწავლება (ერთდონიანი სწავლება). გრძელდება 4,5 - 6 წელი, გვანიჭებს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებულ პროფესიულ წოდებას.
- მესამე ციკლის სწავლება წარმოადგენს საუნივერსიტეტო ტიპის სკოლებისა და კვლევითი ინსტიტუტების (უმეტესად პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის) მიერ განხორციელებულ სადოქტორო პროგრამებს.

გამოცდები და ნიშნები

თებერვალში სტუდენტებს აქვთ პირველი საგამოცდო სესია (sesja). იგი როგორც წესი იწყება იანვრის ბოლოს, სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ და გრძელდება 2 - 3 კვირა, რომელთა განმავლობაშიც სტუდენტები აბარებენ წერით და ზეპირ გამოცდებს (egzaminy).

პირველ სესიასა და ზაფხულის სემესტრს შორის სტუდენტებს ორ კვირიანი ზამთრის არდადეგები აქვთ. ზაფხულის სემესტრი ივნისის ბოლომდე გრძლდება, შემდეგ კი მეორე სესია იწყება.

სემესტრის დასამთავრებლად სტუდენტმა ყველა საგანში უნდა მიიღოს გამსვლელი ნიშანი, მიუხედავად საგნის ფორმისა (პროექტებისა და ინტეგრირებული ჩანართების და ა.შ. ჩათვლით). შეფასების სისტემა როგორც წესი ითვალისწინებს შემდეგ ნიშნებს: ძალიან კარგი (5), კარგი პლიუსით (4+ ან 4,5), კარგი (4), დამაკმაყოფილებელი პლიუსით (3+ ან 3,5), დამაკმაყოფილებელი (3), არადამაკმაყოფილებელი (2). ცალკეული სკოლის შეფასების სისტემის სანახავად გაეცანით მის მიმდინარე კგეს კურსის კატალოგს.

ვიზები - სტუდენტები ევროპის კავშირის ქვეყნებიდან

თუ თქვენ ევროპის კავშირის ან ევროპული ეკონომიკური ზონის სტუდენტი ხართ, პოლონეთში შესასვლელად მხოლოდ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (ბარათი ან პასპორტი) გჭირდებათ. თუკი თქვენ სამ თვეზე დიდხანს გეგმავთ დარჩენას, ადგილობრივ ადმინისტრაციაში (Urząd Wojewódzki) უნდა დარეგისტრირდეთ. ამისათვის შესაბამისი უწყების მიერ მოთხოვნილი სპეციფიური დოკუმენტის შევსება მოგიწევთ, სანაცვლოდ კი მიიღებთ პოლონეთში თქვენი ბინადრობის უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს. ბინადრობის უფლების მიღების ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას წარმოადგენს ჯანმრთელობის დაზღვევის ფლობა. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: www.msz.gov.pl

ვიზები - სტუდენტები არაევროპული ქვეყნებიდან

თუკი თქვენ ევროპის კავშირისა და ევროპული ეკონომიკური ზონის არაწევრი ქვეყნიდან ხართ, უმჯობესია პოლონეთის ადგილობრივ საკონსულოში გადაამოწმოთ, თუ რა საბუთები (მაგალითად ვიზა) გჭირდებათ გარდა პასპორტისა პოლონეთში გასამგზავრებლად. თუკი თქვენ ფლობთ ვიზას, თქვენ არ დაგჭირდებათ დარეგისტრირება ჩამოსვლის შემდეგ. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ: www.msz.gov.pl

LIVING COSTS

პოლონეთში საშუალო სტუდენტის ყოველთვიური დანახარჯი 300-დან 700 ევრომდე თანხას შეადგენს.

55 - 100 ევრო	120 - 250 ევრო	30 ევრო	19 ევრო	12/7 ევრო
საერთო საცხოვრებელი	ოთახი კერძო ბინაში	ელექტრო ენერგიისა და გაზის ყოველთვიური გადასახადი	ტრანსპორტის ერთ თვიანი ბარათი	ქალის/მამაკაცის თმის შეჭრა
2 - 3,5 ევრო	1,7 - 3 ევრო	1,5 - 3 ევრო	4,5 - 5,5 ევრო	0,6 ევრო
სადილი სასადილოში	ყავა კაფეში	ლუდი ბარში	კინოთეატრის ბილეთი	პური
5,5 ევრო 1 კგ	5 ევრო 1 კგ	0,5 ევრო 1,5 ლიტრი	0,7 ევრო	0,7 ევრო 1 კგ.
ლორი	ყველი	მინერალური წყალი	რძე	ვაშლი